



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებთ კანონმდებლობით

შესაძლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაძლო ცვლილებებს. მათი მიზანია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება, გადაზიდვის მომსახურების ხელშეწყობა, გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისა და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შემოტანილი საქონლისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება.

ცვლილებების თანახმად, გადასახადის გადამხდელს ეძლევა უფლება ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული ან დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები საგადასახადო ორგანოსათვის შეტყობინების ვალდებულების და მისი დადასტურების გარეშე.

ივლისი 2016

[შესაძლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში](#)

[შესაძლო ცვლილებები „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება](#)

ასევე, ზუსტდება, რომ ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებულია გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ იმ საქონლის იმპორტი, რომელსაც მინიჭებული აქვს გრანტის სტატუსი, ასევე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-სგან გათავისუფლებულია საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადასაცემი იმ საქონლის იმპორტი, რომელსაც მინიჭებული აქვს ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი.

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საგადასახადო კოდექსის შესაძლო ცვლილებებს, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საგადასახადო შეღავათების და სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელებას.

კანონპროექტის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული საგადასახადო შეღავათები გაგრძელდება დამატებით 1 წლის ვადით 2018 წლის 1 იანვრამდე. ასევე, პირის მიერ სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მისაღებად დადგენილ ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი.

შესაძლო ცვლილებები „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო ცვლილებებს, რომელთა მიზანია იმ საიმპორტო საქონლის გრანტის სტატუსის მოწესრიგება, რომელიც დაკავშირებულია იმპორტის გადასახდელებისგან გათავისუფლების მიზნებთან.

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავების მიზეზია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში სრულყოფილი და მკაფიო საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის აუცილებლობა, რათა საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისთვის, საიმპორტო საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების საკითხი დარეგულირდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 24 ნოემბერს მიიღო მნიშვნელოვანი განჩინება განსჯადობის თაობაზე (საქმე #28/3559-1128).

პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ ვალდებულებების შესრულების ადგილი, რომლის შესრულების მიზნებისათვის დაიდო ხელშეკრულება. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დროს ვალდებულებათა დიფერენცირება ძირითად და შემხვედრ ვალდებულებებად, ნათელს ხდის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავების განსჯადობას ძირითად ვალდებულებების მიხედვით. ვალდებულებები ხელშეკრულების ყველა მხარეს ეკისრება და ნორმები არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ვინც დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, იმ მხარის ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით უნდა განხორციელდეს სამართალწარმოება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება არა

ძირითადი, არამედ შემხვედრი ვალდებულებაა და შესაბამისად ხელშეკრულების შესრულების ადგილად ვერ მიიჩნევა კრედიტორის ადგილსამყოფელი სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის მიხედვით.

პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვასიტყვით განმარტებაზე, რომლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელების განსჯადობა დაკავშირებულია ვალდებულების შესრულების ადგილთან და არა ვალდებულების დამრღვევი პირის მიერ შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ადგილთან.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებული როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 მმს დელოიტი და ტუმო. ყველა უფლება დაცულია.